სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 აპრილი, 2026 წ.

ბრძანება № 01-08/353

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ,,2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შოთა რუსთაველისა და ტბელ აბუსერიძის სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 17 მარტის №01-02/54 ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს სახელობითი სტიპენდიანტების გამოვლენის მიზნით ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 19 მარტის №01-02/59 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2026 წლის 30 მარტის და 01 აპრილის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებისა (ოქმი №1-2) და ამავე კომისიის თავმჯდომარის, რექტორის მოადგილის 2026 წლის 02 აპრილის №398441 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნოს** 2026 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცეს ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) **ბსუ-ს 7 სტუდენტზე, წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.**
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება თითოეული ფაკულტეტის მიერ დაეგზავნოს (პერსონალური მონაცემების დაცვით) შესაბამის სტიპენდიანტ სტუდენტს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,,2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 03 აპრილის №01-08/353 ბრძანების

№1 დანართი

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნა** 2026 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცემა ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით)
ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების შემდეგ სტუდენტებზე:

	სტუდენტის სახლი, გვარი	პირადი ნომერი	ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების წელი
1	ირმა ჭიჭინაძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლება	,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა/ სწავლების მე-2 წელი
2	ნინო ჯაფარიძე		ეკონომიკისა და ბიზნესი	,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამა/ სწავლების მე-2 წელი
3	გოჩა დავითაძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	,,ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების“ სამაგისტრო პროგრამა, სწავლების 1-ელი წელი
4	ხატია ლეონიძე		იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა	,,სამართლის“ სამაგისტრო პროგრამა/ სწავლების მე-2 წელი
5	სესილი გათენაძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	,,ეკოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა/ სწავლების მე-2 წელი
6.	გვანცა ჯორთმენაძე		ტექნოლოგიური	,,სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამა/ სწავლების მე-2 წელი
7.	ქეთევან მგელაძე		ტურიზმი	,,ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა/ სწავლების მე-2 წელი